

‘ეს ნამდვილად სასარგებლო წიგნია, ნათლად და მკაფიოდ დაწერილი. იგი თავისი საგნის შესანიშნავ შესავალს წარმოადგენს. დაკვირვებული მკითხველი მასში თავად სმითის პოზიციის განვითარებასაც შენიშნავს, ყველაზე თვალსაჩინოდ კი მის აქცენტს ნაციის საკრალურობაზე. ეთნიკურსა და მოქალაქეობრივს შორის განსხვავების ანალიზიც საუკეთესოდაა წარმოდგენილი’.

ჯონ პოლი, მაკგილის უნივერსიტეტი, მონრეალი

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე საზოგადოებისა და პოლიტიკის ცენტრალურ თავისებურებას ნაციონალიზმი წარმოადგენდა. ძალითა და რეზონანსით მას ბევრი იდეოლოგია ვერ შეედრება. არც ერთ სხვა პოლიტიკურ მოძრაობასა და სიმბოლურ ენას არ გააჩნია ასეთი მსოფლიო მიზიდულობა და მოქნილობა. ნაციონალიზმი, იმავდროულად, საჯარო კულტურის ფორმა და პოლიტიკური რელიგიაცაა, რომელიც ბევრად უფრო ძველი კულტურული და სიმბოლური ფორმებიდან მომდინარეობს.

ამ წიგნის მიზანია ნაციონალიზმის მრავალწახნაგოვნების ჩვენება; ბირთვი-ცნებებისა და ნაციონალისტური იდეოლოგიის სხვადასხვა ვარიანტის შემაჯამებელი ანალიზის მისაწვდომად წარმოდგენა; ნაციებისა და ნაციონალიზმის უმთავრესი ურთიერთმოცილებე – პრიმორდიალისტური, პერენიალისტური, მოდერნისტული და ეთნოსიმბოლისტური – პარადიგმებისა და თეორიების განხილვა; ნაციისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგობრივი ისტორიებისა და პერიოდიზაციის კრიტიკული განსჯა; ნაციონალიზმის პერსპექტივებისა და ნაციებისა და ნაციონალური სახელმწიფოების ტრანსცენდენტულობის თაობაზე მიმდინარე დებატების შეფასება.

წიგნის თემატიკა ფართოა, ხოლო მათი კვლევა – შედარებითი. გარდა ამისა, იგი დისციპლინათა შორისაა, იღებებსა და მათ ინტერპრეტაციებს იღებს ისტორიიდან, პოლიტიკური მეცნიერებიდან, სოციოლოგიიდან და ანთროპოლოგიიდან. მისი ფოკუსი თეორიულია, მაგრამ, ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიხედვით, მასში განხილულია აგრეთვე რამდენიმე ძირითადი ისტორიული და თანამედროვე ემპირიული მონაპოვარიც. წიგნის დასკვნით ნაწილში მოცემულია ისტორიისადმი და ნაციონალიზმის პერსპექტივებისადმი ავტორის საკუთარი ‘ეთნოსიმბოლისტური’ მიდგომის მოკლე მონახაზი, რაც ნაციონალიზმის გლობალური ძალისა და მედეგობის ახსნის ცდას წარმოადგენს.

ენტონი დ. სმითი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის ევროპის ინსტიტუტის პროფესორია ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის დარგში.

ნაციონალიზმი

თეორია, იდეოლოგია, ისტორია

ენტონი დ. სმითი